

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №162

2005 წლის 21 სექტემბერი

ქ. თბილისი

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ

### მუხლი 1

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გასცემს დაკვირვების ელექტრონულ საშუალებათა დამზადების, შექმნის, იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზიას.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) გასცემს:

ა) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის (შენახვის უფლებით) ნებართვას;

ბ) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე გლუვულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვას;

გ) იმ პირის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამოქალაქო იარაღის შექმნის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვას;

დ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შექმნის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვას;

ე) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირებისათვის სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსით გადაცემული იარაღის შექმნის (ტარების უფლებით) ნებართვას;

ვ) ფიზიკური პირების მიერ იარაღის ძირითადი ელემენტების შექმნის უფლებას;

ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შექმნილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან /და გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვას;

თ) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან /და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვას;

ი) საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან /და გაზის (აირის) იარაღის, მისი / მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვას;

კ) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვას;

ლ) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვას;

მ) ტირის, სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის მოწყობის ნებართვას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებართვის გაცემის შემთხვევაში, სააგენტო ნებართვის სახის მიხედვით ახორციელებს ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციასა და A, B, C, D კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობის გაცემას, კერძოდ:

ა) A კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა გაიცემა შენახვის უფლებით რეგისტრირებულ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო ცეცხლსასროლ იარაღზე;

ბ) B კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა გაიცემა შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებულ:

ბ.ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო ცეცხლსასროლ ან გაზის (აირის) იარაღზე;

ბ.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო ცეცხლსასროლ იარაღზე;

ბ.გ) ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ იარაღზე;

გ) C კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა გაიცემა შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებულ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (გარდა ამ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით



დადგენილი გამოწვევისა) განსაზღვრულ სამსახურებრივ-სამტატო სტატუსის მქონე ცეცხლსასროლ იარაღზე;

დ) D კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა გაიცემა ტარების უფლებით რეგისტრირებულ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამსახურებრივ-სამტატო სტატუსის მქონე ცეცხლსასროლ იარაღზე.

4. სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებართვის გაცემა და „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლების მინიჭება დასტურდება რეგისტრაციით (ან ხელახალი რეგისტრაციით) და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემით.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვისა და იარაღის რეგისტრაციის მოწმობის ფორმებს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №352-სსმIII, №152, 22.11.2010წ., მუხ.2160

## მუხლი 2

1. დაკვირვების ელექტრონულ საშუალებათა დამზადების, შექმნის, საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ლიცენზიის მიღების საფუძველია ლიცენზიის გამცემი ორგანოსადმი ლიცენზიის მაძიებლის წერილობითი განცხადება.

2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) ტექნიკური დოკუმენტაცია და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) შესაბამისობის სერტიფიკატი;

გ) სიხშირის ფლობის დოკუმენტი ან ხელშეკრულება სიხშირის მფლობელთან;

დ) დაკვირვების ელექტრონულ საშუალებათა ნიმუშები (ლიცენზიის გამცემის მოთხოვნით);

ე) მონაცემები იმ სპეციალისტთა პროფესიული მომზადების შესახებ, რომლებმაც უნდა განახორციელონ დაკვირვების ელექტრონულ საშუალებებთან დაკავშირებული საქმიანობის განცხადებული სახეობა.

3. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინოს დოკუმენტების დედნები ან მათი ასლები.

4. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ მოთხოვნილი დაკვირვების ელექტრონულ საშუალებებთან დაკავშირებული საქმიანობის სახეობა შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას, მაშინ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის დროს დაცული უნდა იყოს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

## მუხლი 3

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამოქალაქო იარაღის შექმნის (შენახვის ან შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის მიღებისა და იარაღის პირველადი რეგისტრაციისათვის ნებართვის მაძიებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) იარაღზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან ბინადრობის მოწმობა;

დ) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ვ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, ნებართვის მაძიებელმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ დამატებით უნდა წარადგინოს სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის შექმნაზე უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული წერილობითი ფორმის თანხმობა.

3. დაინტერესებული პირის მიერ იარაღის ძირითადი ელემენტების შექმნის უფლების მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება;

ბ) იარაღის ძირითად ელემენტზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან ბინადრობის მოწმობა;

დ) დაინტერესებულ პირზე შესაბამისი ტიპის სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის შექმნის ნებართვის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ნებართვის მაძიებელმა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ შეუწარმოებდა იარაღის ტარების უფლება, ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამოქალაქო იარაღის შექმნის (შენახვისა და ტარების



უფლებით) ნებართვის მიღებისა და იარაღის რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- გ) იარაღზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში – იარაღის რეგისტრაციის მოწმობა);
- დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ იარაღის ტარების უფლების შენარჩუნების გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);
- ვ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ (რეგისტრირებულ) იარაღზე, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისა და იარაღის ხელახალი რეგისტრაციისათვის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- გ) A კატეგორიის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა;
- დ) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამსახურის წერილობითი მიმართვა ფიზიკური პირის (მისი თანამდებობის მითითებით) საკუთრებად რეგისტრირებულ იარაღზე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსის მინიჭების თაობაზე;
- ვ) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი;
- ზ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, აგრეთვე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეების საკუთრებაში არსებულ (რეგისტრირებულ) ცეცხლსასროლ იარაღზე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის ნაცვლად წარდგენილ უნდა იქნეს თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადი განცხადება იარაღზე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

7. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირებისათვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისა და რეგისტრაციისათვის უფლებამოსილმა პირმა უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- გ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“-„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამსახურის წერილობითი მიმართვა სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის მოსარგებლე პირისათვის (მისი თანამდებობის მითითებით) სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსით გადაცემის თაობაზე;
- დ) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი;
- ე) ნებართვის გაცემისათვის მოსარგებლე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, აგრეთვე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეების მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული სახის მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღის საკუთრების უფლებით შეძენისას დასაშვებია იმავდროულად იარაღზე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებაც.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესით იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვისა და იარაღის პირველადი რეგისტრაციისათვის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს:

- ა) განცხადება იარაღის საკუთრების უფლებით შეძენის ნებართვის გაცემისა და იმავდროულად იარაღზე



სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

გ) იარაღზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა);

ზ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

10. სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდგომ საკუთრებად რეგისტრირებულ იარაღზე სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსის მოხსნისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, აგრეთვე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეები არ არიან ვალდებული განახორციელონ იარაღის ხელახალი რეგისტრაცია ან/და იარაღის რეგისტრაციის მოწმობის კატეგორიის შეცვლა და ავტომატურად ინარჩუნებენ იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებას) ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადიან საქართველოს მოქალაქეობიდან, მიდიან უცხო სახელმწიფოს სამსახურში, ახორციელებენ კერძო დაცვით საქმიანობას (მხოლოდ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების პერიოდში) ან/და დათხოვნილნი იქნებიან სამსახურიდან დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამო.

11. სააგენტო უფლებამოსილია უფლებრივად შეუზღუდავი და აღურიცხავი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის ან/და იარაღის ძირითადი ელემენტების წარმდგენ ფიზიკურ პირზე (მფლობელზე) გასცეს შეძენის ნებართვა და განახორციელოს საკუთრების უფლებით რეგისტრაცია (ლეგალიზაცია). ლეგალიზაციისათვის სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის ან/და იარაღის ძირითადი ელემენტების მფლობელის მიერ სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის ან/და იარაღის ძირითადი ელემენტების ლეგალიზაციის თაობაზე;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან ბინადრობის მოწმობა;

გ) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი;

დ) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12. იარაღის ლეგალიზაციისათვის ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, ნებართვის მაძიებელმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ დამატებით უნდა წარადგინოს სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის შეძენაზე უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული წერილობითი სახის შუამდგომლობა.

13. იარაღის ძირითადი ელემენტის შეძენის უფლება არ გაიცემა, თუ მოთხოვნის მომენტისათვის დაინტერესებულ პირს მინიჭებული არა აქვს შესაბამისი ტიპის სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის შეძენის ნებართვა.

14. რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღზე საკუთრების უფლების სხვა ფიზიკურ პირზე გადაცემისათვის უფლების გადამცემმა და მიმღებმა პირებმა სააგენტოში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე;

ბ) უფლების გადამცემისა და მიმღების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) იარაღის რეგისტრაციის მოწმობა;

დ) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი;

ვ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

15. მემკვიდრეობით მიღებული სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისა და რეგისტრაციისათვის მემკვიდრის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სამკვიდრო მოწმობა ან სასამართლოს გადაწყვეტილება;



- დ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ე) იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი;
- ვ) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თ) კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

15<sup>1</sup>. სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელს ჩაბარებული აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი კატეგორიის გამოცდა.

16. იმ შემთხვევაში, თუ იარაღის რეგისტრაციის მომენტისათვის არსებობს გარემოება, რომელიც ზღუდავს მემკვიდრეზე იარაღის შეძენის ნებართვის გაცემასა და რეგისტრაციას, სააგენტოს თანხმობით, მემკვიდრეს უფლება აქვს საკუთარ სახელზე დაურეგისტრირებლად განახორციელოს იარაღზე საკუთრების უფლების მესამე პირზე გადაცემა ან იარაღის საკომისიო წესით ჩაბარება ან იარაღის ჩამოწერა.

17. სამოქალაქო ცეცხლსასროლ ან/და გაზის (აირის) იარაღის ფიზიკურ პირზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლების მიმღები აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

18. იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ნებართვები არ გაიცემა მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781*

*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №352-სსმIII, №152, 22.11.2010წ., მუხ.2160*

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №542 - ვებგვერდი, 27.10.2015წ.*

#### **მუხლი 4**

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს:

- ა) უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოში შეძენისა და შეძენილი იარაღის საქართველოდან გატანის თაობაზე უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული წერილობითი სახის შუამდგომლობა;
- გ) იარაღზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781*

*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №352-სსმIII, №152, 22.11.2010წ., მუხ.2160*

#### **მუხლი 5**

1. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ა) იურიდიულმა პირმა:
  - ა.ა) განცხადება;
  - ა.ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - ა.გ) ექსპორტიორის მიერ დამოწმებული მონაცემები იარაღის თითოეული ეგზემპლარის შესახებ (დასახელება, მოდელი, სერია);
  - ა.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - ა.ე) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაცემის შესაბამისი დოკუმენტი, სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია გადასატან-გადასაზიდი იარაღისა და საბრძოლო მასალის შესახებ;
  - ა.ვ) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისათვის პასუხისმგებელ პირთა მონაცემები;
  - ა.ზ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მონაცემები, რითაც ხორციელდება იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა;
- ა.თ) ნებართვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ა.ი) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ბ) ფიზიკურმა პირმა:
  - ბ.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
  - ბ.ბ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;
  - ბ.გ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მონაცემები, რითაც ხორციელდება იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა;



ბ.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაცემის შესაბამისი დოკუმენტი, სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია გადასატან-გადასაზიდი იარაღისა და საბრძოლო მასალის შესახებ;

ბ.ე) ნებართვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ნებართვა გაიცემა არა უმეტეს სამი თვის ვადით. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781

## მუხლი 6

იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაგზავნის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) იურიდიულმა პირმა:

ა.ა) განცხადება;

ა.ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.გ) ექსპორტიორის მიერ დამოწმებული მონაცემები იარაღის თითოეული ეგზემპლარის შესახებ (დასახელება, მოდელი, სერია);

ა.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში იმპორტის შესაბამისი მოწმობა ან მისი ასლი;

ა.ე) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაცემის შესაბამისი დოკუმენტი, სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია გადასაგზავნი იარაღისა და საბრძოლო მასალის შესახებ;

ა.ვ) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაგზავნისათვის პასუხისმგებელ პირთა მონაცემები;

ა.ზ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მონაცემები, რითაც ხორციელდება იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაგზავნა;

ა.თ) ნებართვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.ი) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) ფიზიკურმა პირმა:

ბ.ა) განცხადება;

ბ.ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

ბ.გ) იარაღის რეგისტრაციის მოწმობა;

ბ.დ) ნებართვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.ე) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781

## მუხლი 7

1. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქართველოში შემოსატანი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის რაოდენობა;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

გ) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ნებართვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

1<sup>1</sup>. სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოში შემოტანისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელს ჩაბარებული აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი კატეგორიის გამოცდა.

2. ამ მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ნებართვა გაიცემა ერთდროულად არა უმეტეს 5 ერთეული სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის ან/და მისი/მათი ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის ან/და ერთდროულად არა უმეტეს 1000 ერთეული საბრძოლო მასალის (ვაზნის) საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის შემთხვევაში.

3. ნებართვის მაძიებლის მოთხოვნით ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ნებართვაში „გადაადგილების მარშრუტის“ გრაფაში შეიძლება მიეთითოს რეგისტრაციის ვადის დადგომამდე



საქართველოში შემოტანილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღის ან/და მისი/მათი ძირითადი ელემენტების დროებითი შენახვის ადგილი, რაც უფლებას აძლევს ნებართვის მფლობელს, საბაჟო პროცედურის განხორციელების შემდეგ ორი კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნული ნებართვის საფუძველზე, გადაიტანოს საქართველოში შემოტანილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღი, მისი/მათი ძირითადი ელემენტები ან/და საბრძოლო მასალა დროებითი შენახვის ადგილზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნებართვის საფუძველზე შემოტანილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღი, მისი/მათი ძირითადი ელემენტები საჭიროებს სააგენტოში რეგისტრაციას საქართველოში შემოტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება შესაბამისი საბაჟო პროცედურის განხორციელების დრო).

5. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის გაცემისათვის დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეტანის თაობაზე უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა (თანხმობა);

ბ) იარაღის რეგისტრაციის მოწმობა;

გ) ნებართვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. ნებართვის გაცემისათვის სააგენტოს თანამშრომელს უფლება აქვს, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა, ნებართვის მამიებელს დამატებით მოსთხოვოს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ იარაღი არ წარმოადგენს კულტურულ, ისტორიულ, სამეცნიერო ან ეთნოგრაფიულ ღირებულებას.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ნებართვის გაცემისას ნებართვის მამიებლის თხოვნის საფუძველზე შეიძლება იმავდროულად გაცემულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნებართვაც.

8. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს, საქართველოში შემოიტანოს სანადირო და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე აღნიშნული იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა (მაგრამ არა უმეტეს 500 ერთეული ვაზნისა), თუ არსებობს შესაბამისი კონტრაქტი (ხელშეკრულება) ნადირობაზე ან მოწვევა სპორტულ ღონისძიებაზე. შემოტანილი იარაღი საქართველოდან გატანილ უნდა იქნეს იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი კონტრაქტით (ხელშეკრულებით) ან მოწვევით, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

9. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის მისაღებად უცხო ქვეყნის მოქალაქემ ან საქართველოში მომწვევემა მხარემ უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში დროებითი საცხოვრებელი ადგილის და შემოსატანი და გასატანი სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის იარაღის საქართველოში დროებითი შენახვის ადგილის მითითებით;

ბ) საქართველოში შემოსატანი და გასატანი სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ამსახველი დოკუმენტი (ან დოკუმენტის ასლი);

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ნადირობაზე შესაბამისი კონტრაქტი (ხელშეკრულება) ან სპორტულ ღონისძიებაზე მოსაწვევი;

ე) ნებართვაზე კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

10. უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში ნადირობაზე ან სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მომწვევი პირის მიერ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ნებართვის გაცემისათვის დადგენილი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გადასაცემად გადაეცემა მომწვევ პირს.

11. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვაში შეიძლება დამატებით მიეთითოს საქართველოში შემოტანილი იარაღის დროებითი შენახვის ადგილი.

12. შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მამიებელმა უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების შესახებ;

ბ) სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

13. შესაბამისი პროფილის სპორტულ დაწესებულებას უფლება აქვს, ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული ნებართვის საფუძველზე, სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის უკან საქართველოში შემოტანისა და შესაბამისი საბაჟო პროცედურის განხორციელების შემდეგ, ორი სამუშაო დღის



განმავლობაში გადაიტანოს იარაღი მუდმივი შენახვის ადგილზე.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №352-სსმIII, №152, 22.11.2010წ., მუხ.2160

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №542 - ვებგვერდი, 27.10.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 სექტემბრის დადგენილება №440 - ვებგვერდი, 06.09.2019წ.

## მუხლი 7<sup>1</sup>

1. სააგენტოს მიერ იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ნებართვები გაიცემა ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის, აგრეთვე „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე, თუ:

ა) ნებართვის მაძიებელს საკუთრების ან სარგებლობის უფლებით რეგისტრირებული აქვს სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან გაზის (აირის) იარაღი;

ბ) ნებართვის მაძიებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

გ) ნებართვის მაძიებელი ახორციელებს იარაღის ხელახალ რეგისტრაციას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი უფლების რეალიზებას ახორციელებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლების აღდგენის შემდეგ;

ბ) დაინტერესებულ პირს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნის ან შენახვის გასაღების მიზნის გარეშე ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი;

გ) ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტის სახით სააგენტოში არსებობს ინფორმაცია ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნებართვის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე;

დ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას.

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებებისა, სააგენტოს თანამშრომელს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნებართვის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე საფუძველიანი ეჭვის აღმოჩენისას მოითხოვოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სააგენტო (ან მისი თანამშრომელი) არ არის ვალდებული დაასაბუთოს ნებართვის მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით ნებართვის გაცემისათვის განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე ეჭვის წარმოშობის საფუძველი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №352-სსმIII, №152, 22.11.2010წ., მუხ.2160

## მუხლი 8

1. ტირის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) იურიდიულმა პირმა:

ა.ა) განცხადება;

ა.ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.გ) აღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავე ინსტრუქტორის სათანადო განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი, მოწმობა);

ა.დ) ადგილის სიტუაციური ნახაზი;

ა.ე) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) ინდივიდუალურმა მეწარმემ:

ბ.ა) განცხადება;

ბ.ბ) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

ბ.დ) ცნობა ნასამართლობის შესახებ, რომელიც ადასტურებს პირის ნასამართლობაში არყოფნის ფაქტს, ასევე ცნობა ნარკოლოგიურ და ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერებში აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ;

ბ.ე) ინსტრუქტორის სათანადო განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი, მოწმობა);

ბ.ვ) ადგილის სიტუაციური ნახაზი;

ბ.ზ) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.თ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი ადგილის სიტუაციური ნახაზი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ





მოთხოვნებს:

ა) სასროლი მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 10 მეტრი; სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მეტრი; სიგანე – არანაკლებ 3 მეტრი;

ბ) შენობას უნდა ჰქონდეს ჰაერგამწოვი და ხმის დამხშობი;

გ) კედლები უნდა იყოს მყარი, არანაკლებ 400 მმ სისქის;

დ) შენობა-ნაგებობას უნდა ჰქონდეს ტყვიაგაუმტარი კარები;

ე) სამიზნის უკან უნდა იყოს სულ ცოტა 0,5 სმ რკინის ფურცელი, სილის ტომრები – 0,5 მეტრი სიგანის, რეზინის ფენა – სულ ცოტა 0,4 სმ;

ვ) შენობას არ უნდა ჰქონდეს ფანჯარა;

ზ) შენობა ალჭურვილი უნდა იყოს დამცავი ავტონომიური სიგნალიზაციით;

თ) შენობაში უნდა იყოს რკინის კარადები და სეიფები, სადაც შეინახება იარაღი და საბრძოლო მასალა;

ი) სასროლი პოზიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ი.ა) დახლი უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრი სიმაღლის;

ი.ბ) დახლის სიგანე – არანაკლებ 0,7 მეტრი;

ი.გ) დახლის სიგრძე – არანაკლებ 0,5 მეტრი.

3. ტირის მოწყობის ნებართვა გაიცემა 5 წლის ვადით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238-სსმIII, №174, 05.12.2008წ., მუხ.1781

## მუხლი 9

1. სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის მოწყობის ნებართვის მაძიებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) იურიდიულმა პირმა:

ა.ა) განცხადება;

ა.ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.გ) აღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავე ინსტრუქტორის სათანადო განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი, მოწმობა);

ა.დ) ადგილის სიტუაციური ნახაზი;

ა.ე) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) ინდივიდუალურმა მეწარმემ:

ბ.ა) განცხადება;

ბ.ბ) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

ბ.დ) ცნობა ნასამართლობის შესახებ, რომელიც ადასტურებს პირის ნასამართლობაში არყოფნის ფაქტს, ასევე ცნობა ნარკოლოგიურ და ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერებში აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ;

ბ.ე) ინსტრუქტორის სათანადო განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ცნობა (სერტიფიკატი, მოწმობა);

ბ.ვ) ადგილის სიტუაციური ნახაზი;

ბ.ზ) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.თ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი ადგილის სიტუაციური ნახაზი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დასახლებული პუნქტიდან დაშორებული უნდა იყოს 3 კმ მანძილით;

ბ) სასროლო მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 100 მეტრი; სიმაღლე – არანაკლებ 10 მეტრი; სიგანე – არანაკლებ 30 მეტრი;

გ) ტერიტორიის ირგვლივ ქვის კედლების სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრი;

დ) სასროლი კედლის უკან უნდა იყოს სულ ცოტა 5,5 მმ სისქის რკინის ფურცელი, სილის ტომრები – 2 მეტრი სიგანის, რეზინის ფენა – არანაკლებ 0,6 მეტრი;

ე) ტერიტორიაზე უნდა იყოს ქვისაგან აშენებული სულ ცოტა 20 კვ.მ ფართობის იზოლირებული შენობა რკინის სეიფებით;

ვ) სასროლი პოზიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ვ.ა) სასროლი ადგილი უნდა იყოს გადახურული;

ვ.ბ) სასროლი ადგილის სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრი.

2<sup>1</sup>. სახელმწიფო გასამხედროებული დაწესებულებების გამგებლობაში არსებულ სარეჟიმო ობიექტებზე სასროლეთის მოწყობის ნებართვა გაიცემა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მანძილის მიუხედავად, თუ ობიექტი აკმაყოფილებს მე-2 პუნქტით დადგენილ სხვა მოთხოვნებს და არ არის საფრთხის შემცველი სასროლი მიმართულების და ადგილის რელიეფის გათვალისწინებით.

3. სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის მოწყობის ნებართვა გაიცემა 5 წლის ვადით.



საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №238- სსმ III, №174, 05.12.2008 წ., მუხ.1781  
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 20.01.2012წ.

## **მუხლი 10**

დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ტირისა და სასროლეთის მოწყობაზე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №538 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

**პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელი**

